საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. უ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 165/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 22 ნოემბერს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას" საჩივრით მომართა ე. უ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 11 იანვარს თავდაცვის სამინისტროს N140 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის გამოც მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრს და მოითხოვა სარჩელის დაწერა. სარჩელი უნდა დაეწერა ადვოკატ ნ. ლ.-ს, რომელსაც საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ სურდა გაესაჩივრებინა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის N140 ბრძანება, თავდაცვის მინისტრის N26 ბრძანება და ასევე, წერილი N20861. ადვოკატმა ნ. ლ.-მ განუმარტა, რომ მისი გათავისუფლება განხორციელდა N140 ბრძანებით და მხოლოდ მისი გასაჩივრება იყო მიზანშეწონილი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სასამართლო დავა წააგო, რომელიც გამოიწვია ადვოკატ ნ. ლ.-ის არაპროფესიონალიზმმა, კერძოდ, ადვოკატმა არ დაწერა სათანადო სარჩელი და არ მოითხოვა N26 ბრძანებისა და წერილი N20861-ის გასაჩივრება, რის გამოც მოგვიანებით კლიენტის მოთხოვნა ხანდაზმულად იქნა მიჩნეული სასამართლოს მიერ. ხანდაზმულობის ვადის გაშვებაში ბრალი ადვოკატს მიუძღვის, რადგან მისი რჩევით N26 ბრძანების საფუძველზე იგი არ ყოფილა გათავისუფლებული და შესაბამისად, მისი გასაჩივრება არ იყო საჭირო. ხოლო, N20861 წერილი არ იყო აქტი და იგი არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

1.4 საჩივრის ავტორის 2019 წლის 07 თებერვლის დამატებითი განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორის მიერ დასახელებული ფაქტი, რომ მან თავისი ხელით დაწერა სარჩელი და მასზე მიღებულ იქნა სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. სიცრუეა ის ფაქტი, რომ ცენტრის იურისტი დაეხმარა სარჩელის დაწერაში, ვინაიდან იგი დახმარებად არ თვლის იმას, რომ მისი შტატის გაუქმების N26 ბრძანება ადვოკატმა არ გაასაჩივრებინა.

1.5 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა მას განუმარტა, რომ ბრძანება უნდა გაესაჩივრებინა ჩაბარების შემდეგ. ეს კონსულტაცია იყო არასწორი და სასამართლომ მას განუმარტა, რომ გაუშვა გასაჩივრების ვადა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ასაჩივრებს არა შემდეგ განვითარებული მოვლენების პერიოდში ადვოკატის ქმედებებს, არამედ იმას, რომ ადვოკატმა სარჩელი არასათანადოდ დაწერა და საქმე ჯეროვნად არ შეისწავლა, რამაც ზიანი მიაყენა მას.

1.7 2020 წლის 24 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორი დაეთანხმა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 21 ნოემბრის „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში“ ე. უ.-ის საჩივართან დაკავშირებით ადვოკატმა ნ. ლ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, კერძოდ, ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტს სასარჩელო განცხადება ხელნაწერი სახით წარდგენილი ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელზეც სასამართლომ მიიღო განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. ე. უ.-მ ადამიანის უფლებათა ცენტრს სთხოვა დახმარება ისეთი სასარჩელო განცხადების მომზადებაში, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებდა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეადგინა სარჩელი, მოთხოვნები სწორად ჩამოაყალიბა, რომელიც სასამართლომ მიიღო სასარჩელო წარმოებაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ე. უ.-სთან გასაუბრების შედეგად ნათელი გახდა, რომ მან სარჩელი შეიტანა ნაჩქარევად, რადგან არ ჰქონდა მოპოვებული სათანადო დოკუმენტები. კერძოდ, მას არ გამოუთხოვია გათავისუფლების საფუძველი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 1 ნოემბრის N968 ბრძანების თანახმად, 2016 წლის 3 ნოემბრიდან 2016 წლის 10 ნოემბრამდე განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პირთა კვალიფიკაციის შეფასება. აღნიშნული მიზნით შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით. ადვოკატმა მოსთხოვა კლიენტს მისი კვალიფიკაციის შეფასების გადაწყვეტილება, რომელიც ოქმის სახით უნდა ყოფილიყო შედგენილი, თუმცა ე. უ.-ს არ ჰქონდა ოქმი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს მოუმზადა განცხადებები ოქმის გამოთხოვისა და გათავისუფლების საფუძვლების გამოთხოვის თაობაზე, ვინაიდან ხარვეზის შესავსებად კონკრეტული დრო იყო დადგენილი და იგი აუცილებლად უნდა შევსებულიყო. საჩივრის ავტორს განემარტა, რომ აქტის ბათილობის მოთხოვნას მტკიცებულების სახით თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი აქტი, რის გამოც მას უნდა გამოეთხოვა გათავისუფლების საფუძვლები და მიღებისთანავე წარედგინა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ე. უ.-ს განემარტა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ვერ ჩაერთვებოდნენ საქმეში ადვოკატის სახით და მხოლოდ სასარჩელო განცხადების მომზადებით და წარმოებაში მიღებით შემოიფარგლდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი კატეგორიულად უარს ამბობდა საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, საჩივრის ავტორის თხოვნით მან დოკუმენტები დაიტოვა, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ არსებობდა. კლიენტმა მათ განუმარტა, რომ თავადაც შეძლებდა სასამართლოში გამოსვლას და ასევე აღნიშნა, რომ ჰყავდა ადვოკატი, რომლის ვინაობა არ დაუსახელებია. საჩივრის ავტორი რთული ურთიერთობით ხასიათდებოდა და თავის მოსაზრებას იმეორებდა, რის გამოც მას მიეცა რჩევა, რომ აეყვანა ადვოკატი, რომელიც სასამართლო პროცესებზე დაეხმარებოდა.

2.5 2019 წლის 07 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ პრაქტიკაში ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც სარჩელით მითითებული იყო ბრძანებაზე, რომელიც საქმეზე არ იყო დართული და სასამართლომ არ ჩათვალა დოკუმეტი წარმოდგენილად (არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, თუ საქმეში არ არის დართული ის ბრძანება, რომელსაც მხარე ასაჩივრებს, სარჩელი წარმოებაში არ მიიღება). აღნიშნულ პრაქტიკას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს და მისი გათვალისწინებით სარჩელში არ დააყენა მოთხოვნა N26 ბრძანების ბათილობისა. ამ მოთხოვნის დაყენება მხოლოდ დაზუსტებულ სარჩელში უნდა განხორციელებულიყო.

2.6 ადვოკატის განცხადებით, თანაშემწე ამზადებდა სარჩელს მისი ხელმძღვანელობით, ხოლო კლიენტს განემარტა აღნიშნულის თაობაზე. აგრეთვე, განემარტა ორგანიზაციის უფლებამოსილებები. შესაბამისად, ის რომ თანახმა არ ყოფილიყო, დოკუმენტებს არ დატოვებდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იგი ვერ მიაყენებდა კლიენტს ზიანს, ვინაიდან არ ყოფილა მისი უფლებების დამცველი ადვოკატი, არ ესწრებოდა მის სასამართლო პროცესებს. ადვოკატი მას დაეხმარა, სასარჩლო განცხადება მიღებულიყო წარმოებაში და აგრეთვე, მისცა რჩევა მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მას პასუხისმგებლობა არ აუღია.

2.8 2020 წლის 24 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ორგანიზაციაში სადაც მუშაობს, დაცულია კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია და ამისთვის შესაბამისი სამუშაო გარემო არის შექმნილი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მ კლიენტს ე. უ.-ს გაუწია ფორმალური საადვოკატო მომსახურება საერთო სივრცეში, სხვა პირთა თანდასწრებით ისე, რომ ამაზე კლიენტის თანხმობა არ ჰქონია შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 და 8.5 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ნ. ლ. ე. უ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა კონსულტაციისა და დოკუმენტაციის მომზადების ნაწილში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ე. უ.-ის 2018 წლის 22 ნოემბრის საჩივარი;

ადვოკატ ნ. ლ.-ის 2018 წლის 21 ნოემბრის ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2020 წლის24 თებერვლის სხდომის ოქმი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

4.1.2 ადვოკატმა ნ. ლ.-მ ე. უ.-ის საქმეში განახორციელა შემდეგი მოქმედებები:

ა) ე. უ.-ს მოუმზადა განცხადება, რომლითაც მას თავდაცვის სამინისტროდან უნდა გამოეთხოვა გათავისუფლების საფუძვლად მითითებული, 2017 წლის 11 იანვრის N MOD 0 17 00000026 ბრძანება,

ბ) ე. უ.-ს მოუმზადა მეორე განცხადება, რომლითაც კლიენტს თავდაცვის სამინისტროდან უნდა გამოეთხოვა მასთან კვალიფიკაციის შეფასების მიზნით განხორციელებული გასაუბრების შედეგად შედგენილი გასაუბრების ოქმი.

გ) ე. უ.-ს მოუმზადა სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე და შეავსო სამოქალაქო სასარჩელო ფორმა, სადაც გადახაზულია სამოქალაქო და მითითითებულია ადმინისტრაციული სარჩელი, საქმის სასამართლოს კანცელარიაში შესვლის თარიღია 2017 წლის 07 თებერვალი. სასამართლომ 2017 წლის 10 თებერვალს განჩინებით საქმეზე

N3/920-17 დაადგინა ხარვეზი, სასამართლოში შეტანილი სარჩელი არ იყო ხელმოწერილი ე. უ.-ის მიერ. ე. უ.-მ 2017 წლის 23 თებერვალს მიმართა სასამართლოს განცხადებით ხარვეზის შევსების შესახებ. სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2017 წლის 27 თებერვალს. 2017 წლის 12 ივნისს ე. უ.-მ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი. დაზუსტებული სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2017 წლის 12 ივნისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ნ. ლ.-ის 2018 წლის 21 ნოემბრის ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2020 წლის 24 თებერვლის სხდომის ოქმი;

ე. უ.-ის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ადმინისტრაციულ საქმეზე N3/920-17

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 ადვოკატმა ნ. ლ.-მ გაუშვა ბრძანების გასაჩივრების ვადა.

სასამართლოს მიერ 2018 წლის აპრილის N330310017001794104 (3ბ/222-18) განჩინებაში აღნიშნულია, რომ ,,სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. უ.-ისათვის ცნობილი იყო მაშინ, როდესაც მას ჩაბარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 11 იანვრის N140 ბრძანება მისი თანამდებობიდან თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში გაყვანის შესახებ, რომლის გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სწორედ 2017 წლის 11 იანვრის MOD 01700000026 ბრძანება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, მითითებული დროიდან მოსარჩელისთვის ცნობილი იყო ბრძანების არსებობის შესახებ და შეეძლო გაეხადა სადავოდ ამავე დროიდან. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მის მეერ გასაჩივრებული სარეორგანიზაციო ბრძანება მოსარჩელეს საქალაქო სასამართლოში ჩაბარდა თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი შესაგებლით 2017 წლის 02 ივნისს, თუმცა 2017 წლის 13 ნოემბრამდე მოსარჩელის მიერ მითითებული ბრძანება სადავო არ გამხდარა. ასევე აღნიშნულია, რომ ,,საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, 2017 წლის 1 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოდგენილი აქვს შესაგებელი თანდართული მასალებით, კერძოდ შესაგებელს თან ერთვის 2017 წლის 11 იანვრის MOD 01700000026 ბრძანება, რომელიც მოსარჩელეს გადაეცა 2017 წლის 02 ივნისის სასამართლო სხდომაზე. ე. უ.-მ კი სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურად გაცნობის დღიდან კანონით დაწესებული გასაჩივრების ერთ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ“.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა წარმოდგენილი საქმის მასალებით და დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ს არ გაუშვია ბრძანების გასაჩივრების ვადა, ე. უ.-ს შეეძლო გაესაჩივრებინა ბრძანება მას შემდეგ, რაც ეს ბრძანება გადასცა სასამართლომ.

4.2.2 ადვოკატი ნ. ლ. კლიენტს კონსულტაციას უწევდა საერთო სივრცეში, სხვა პირთა თანდასწრებით.

ამ საკითხზე მხარეთა პოზიციები განსხავებულია. ე. უ. განმარტავს, რომ ოთახში, სადაც კონსულტაციას უწევდა ადვოკატი, მოძრაობდნენ სხვა, მისთვის უცნობი პირები და

ადვოკატს მისთვის არ განუმარტია უფლება, რომ შეეძლოთ პრივატულად ესაუბრათ ცალკე ოთახში. ადვოკატის პოზიციით, მის სამუშაო გარემოში არის საერთო სივრცე, სადაც განთავსებულია რამდენიმე იურისტის მაგიდა. მაგიდები ერთმანეთისაგან დაშორებულია და გამოყოფილია ტიხრით. ოფისში მოძრაობს მხოლოდ თანაშემწე, რომელიც იურისტს ეხმარება ტექნიკურ საკითხებში: ასლის გადაღება და ა.შ. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს არ მოუთხოვია ცალკე ოთახში საუბარი.

კოლეგიამ დაადგინა, ადვოკატი ნ. ლ. კლიენტს კონსულტაციას უწევდა საერთო სივრცეში.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“; „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 8.5).

6.1.2 „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1)

6.2 „კლიენტს სჭირდება კეთილსინდისიერი ადვოკატის სპეციალური ცოდნა და უნარები, რამდენადაც თავად არ შეუძლია გაერკვეს რთულ სამართლებრივ საკითხებში. ასევე, დამატებით, ადვოკატთა კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა აუცილებელი პირობაა ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის“ (ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“).

6.3 „ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და

როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N062/15).

6.4 „ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #054/13).

6.5 ე. უ.-მ სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანის უფლებათა ცენტრს“. მისი საქმე დაეწერა ცენტრის ადვოკატს ნ. ლ.-ს, რომელსაც მისთვის უნდა გაეწია მომსახურება დოკუმენტების მომზადების ნაწილში. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ს კლიენტისათვის გაწეული აქვს სამართლებრივი მომსახურება დოკუმენტების მომზადების ნაწილში. კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა გამოიჩინა არაგულისხმიერება, რაც გამოიხატა იმით, რომ ადვოკატმა შეავსო სამოქალაქო სარჩელის ფორმა ადმინისტრაციულ საქმეზე, ხოლო ბრძანების გამოთხოვასთან მიმართებით, ადვოკატმა კლიენტს დააწერინა განცხადება ბრძანების გამოთხოვასთან დაკავშირებით, მაგრამ არ გაუწია სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომ მტკიცებულების დამაგრება განხორციელებულიყო. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის გაფორმებული არ ყოფილა მინდობილობა, ადვოკატის ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ დოკუმენტების მომზადებით. ადვოკატის მიერ მომზადებული სარჩელი სასამართლომ მიიღო წარმოებაში; ადვოკატმა კვალიფიციურად მოამზადა განცხადებები დოკუმენტის გამოთხოვასთან დაკავშირებით. ამით ადვოკატის ვალდებულება ე. უ.-ს წინაშე დასრულდება. ადვოკატი არ იყო ვალდებული ყურადღება მიედევნებინა, რა პასუხი მიიღო ე. უ.-მ განცხადებაზე და ამის შემდეგ, დააზუსტა თუ არა სარჩელი.

6.6 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ნ. ლ.-მ კლიენტს კონსულტაცია გაუწია საერთო სივრცეში, თუმცა მას არ დაურღვევია კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, რადგან იმ სამუშაო სივრცეში, რომელსაც მისთვის ქმნის დამსაქმებელი, კონფიდენციალურობის დაცვა გათვალისწინებულია. ერთ სივრცეში დგას რამდენიმე იურისტის მაგიდა, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია და ოთახში მოძრაობს თანაშემწე, რომელსაც აქვს კონფიდენციალურობის დაცვის ხელშეკრულება დადებული.

6.7 კოლეგიამ მიიჩნია, ადვოკატ ნ. ლ.-ს გაწეული საადვოკატო საქმიანობით არ დაურღვევია კეთილსინდისიერი, კვალიფიციური მომსახურებისა და კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 და 8.5 მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-

4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე #165/18 ადვოკატ ნ. ლ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. #8).

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/